ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N204

(იჯარის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 12 აგვისტო 2020 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი" მისი დირექტორის ზვიად აფხაზავას სახით შემდეგში „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ, შპს ,,გელმარი", მისი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.2 ,,შემსყიდველი" 2020 წლის სახსრებით ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი" მიაწოდებს იჯარას დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - არანაკლებ 17მ-იანი სიმაღლეზე წვდომის მქონე ამწე-კალათას დაქირავება მძღოლ-ოპერატორით

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განაცხადი NAT200010862; გამოცხადების თარიღი 28.07.2020 10:32)

2.3 შესყიდვის კატეგორია - 455 00000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება

2.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდები -455 10000 - ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 12000 (თორმეტი ათასი) ლარს, დღგ-ს გარეშე დანართი #1-ის შესაბამისად, ხოლო დღგ-ს გათვალისწინებით 14160 (თოთხმეტიათასასსამოცი) ლარი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ტექნიკის გამოყენების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით, ანუ ჯამურად ათვისებული სამუშაო დღეების და საათების მიხედვით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 12 აგვსიტოდან, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (60 კალენდარული დღე)

4.2 ამწე-კალათა გამოყენებულ იქნება ქალაქ ფოთში ქუჩების გარე განათებების მოვლა პატრონობის, ხეების გადაბელვა-მოჭრის და საწარმოო სხვა აუცილებლობის შესაბამისად. იჯარა განხორციელდება დღიურად და საანგარიშგებო თვის ბოლოს მოხდება ნამუშაევარი დღეების დაჯამება. არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში დაანგარიშება განხორციელდება საათობრივად, დღიური ღირებულების პრორორციულად. სამუშაო დღე განისაზღვრება 8 სამუშაო საათით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის ადგენს მიმწოდებელი მის მიერ ფაქტიური გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად და წარუდგენს შემსყიდველს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა. შემსყიდველი ვალდებულია

წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტების დადასტურება, ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში პრეტენზიის გამოთქმა და შესაბამისი კორექტირების მოთხოვნა განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას მისი საჭიროებიდან გამომდინარე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.5 შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას სრულად გამოიყენოს და აითვისოს ფასების ცხრილში გათვალისწინებული დღეების რაოდენობა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და ვალდებულებები

5.1 იჯარის პერიოდში მიმწოდებელი განახორციელებს იჯარით აყვანილი ავტომობილის გამართვას საპოხი მასალებით და საწვავით.

5.2 იჯარის პერიოდში პერიოდული ტექნიკური და სარემონტო სამუშაოები იჯარით გადაცემულ ტექნიკაც უნდა ჩაუტაროს მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით, ასეთი მომსახურების გაწევის აუცილებლობის წარმოშობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში

5.3 საიჯარო პერიოდში „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აყვანილი ავტომობილის გამართულად მუშაობა. გაუმართაობის პერიოდში ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს და შემსყიდველის საჭიროების (მოთხოვნის) შემთხვევაში მიაწოდოს შემსყიდველს მსგავსი ტექნიკური მონაცემების ავტომობილი.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, თვეში ერთხელ, მხარეთა მიერ ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4 დირექტორის მიერ მიღება ჩაბარების დადასტურებამდე ამავე ხელშკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებული პირი/პირები ვალდებულია დაადასტუროს ხელმოწერით მიწოდებული მომსახურეობის ხარისხი, ხოლო მთავარი ბუღალტერი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს შემსყიდველ კომპანიაში შესაბამისი რესურსის არსებობა.

8. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია

- მიმწოდებლის მიერ არაჯეროვნად შესრულების, უხარისხო და არადროული მომსახურეობის გაწევის შემთხვევაში უარი განაცხადოს მიღება- ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, რაზეც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს გონივრულ ვადაში.
- საიჯარო პერიოდში გამოიყენოს შესყიდვის ობიექტი შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე.

8.1.1. შემსყიდველი ვალდებულია:

- მიმწოდებლის მიერ ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობებში დროულად მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს და განახორციელოს გადახდა 7.3 პუნქტის შესაბამისად.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.2.1 უზრუნველყოს მომსახურეობის გაწევა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

8.2.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეარულოს ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებები

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელი დროულ და ჯეროვან მომსახურეობის მიწოდებაზე.

9.2 გაწეული მომსახურეობა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ მონაცემებს და შეესაბამებოდეს ხელშკერულების საგნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და არ განახორციელოს ანგარიშსწორება.

9.3 მომსახურეობის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საურავი სახელშკერულებოს ღირებულების 0.02 % ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 3%-ს.

9.4 შემსყიდველის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების მიმდინარეობის და ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების და სამართლებრივი საკითების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დავით ჩარტია და მთავარი ბუღალტერი ლია ჭანტურია.

9.5 შემსყიდველის მხრიდან გაწეულ მომსახურეობის ხარისხზე და მომსახურეობის დროულ მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გარე განათების მოვლა პატრონობის განყოფილების უფროსს კონსტანტინე ადამიას.

9.6 მხარეები პასუხისმგებელნი არიან ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულ და ხარისხიან შეარულებაზე.

9.7 პირასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშკერულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშკერულებაში ნებისმიერი ცლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისა და წერილობითი ფორმით დადასტურების საფუძველზე.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია:

- ამავე ხელშკრულების 4.4 პუნქტის საფუძველზე
- ერთ ერთი მხარის მიერ ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში
- მხარეთა შეთანხმებით
- კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში

11. დავებისა და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა საერთო სასამართლოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი

მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, ამავე ხელშკერულების 9.5 და 9.6 პუნქტებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა წრეს/პირებს.

13.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების/მოწოდებული საქონლის მოცულობის ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და კონტროლი.

13.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი-მიმწოდებელთან, ერთი-შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა დაკავშირებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით (**სატენდერო განაცხადი NAT200010862; გამოცხადების თარიღი 28.07.2020 10:32**).

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“	**შპს „გელმარი“**
დირექტორი:	**დირექტორი:**
ზვიად აფხაზავა	**გელა ვადაქარია**
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N12 ს/კ 415101507 სახელმწიფოხაზინა სახაზინო კოდი 75032 ბ/კ TRESGE22	მის: ქ. ფოთი ჭანტურიას ქ. N2 ს/კ 215108087 ს.ს. "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" ბ/კ: UGEBGE22 ა/ა GE92VT0600000005303605

დანართი N1

არანაკლებ 17მ-იანი სიმაღლეზე წვდომის მქონე ამწე-კალათას დაქირავება მძღოლ-ოპერატორით

განფასება

იჯარის საგანი	გაწზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
ამწე-კალათა ისრის სიმაღლე არანაკლე 17 მ.	დღე	60	200	12000
ჯამი დღგ-ს გარეშე				12000

,,შემსყიდველი''

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“
დირექტორი:

ზვიად აფხაზავა

,,მიმწოდებელი''

შპს ,,გელმარი“

დირექტორი:

გელა ვადაქარია

Poti Municipality Service Center

Подписано цифровой подписью: Poti Municipality Service Center
Дата: 2020.08.12 17:03:18 +04'00'